

რეალური სახეებითა და პრობლემატიკით, ქართული სივრცისა და დროის მნიშვნელოვანი ლოკალით, ამავე დროს არის მისტიკური, ძველ და ახალ მითზე დაყრდნობილი, ფანტასმაგორიულიც და სრულიად გასაგებ ობიექტურ სოციალურ საყრდენებზე დაფუძნებულიც, რომელთა შორის ფიგურირებს პანდემიის თემაც, ქართული სინამდვილის განუყოფელი ნაწილი, ხოლო პანდემიის მითოსური ფსოქოლოგია გამოხატულია სიტყვებში – „დედამიწა დაბერწდა და თავის შვილებს თვითონვე კლავს“. ზემოთთქმული მიუთითებს პანდემიის, რომლის მიზანი სამყაროს – კონკრეტული სივრცის, სანავარდოს – განწმენდაა, მუდმივად განმეორების საშიშროებაზე.

**დამოწმებანი:**

**შენგელაია 1983:** შენგელაია დ. *რჩეული*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1983.

**Nino Gogiasvili**

*Georgia, Telavi*

*Iakob Gogebashvili Telavi State University*

## **Pandemic Reflected in Literature, as the Litmus and Remedy for the Humankind**

### **Summary**

Pandemic reflected in literature, as the litmus and remedy for the humankind

In the presented report I would like to discuss Vazha Pshavela's literary prism, in view of pandemic: one of such is the fiction work – Cholera has helped me (Story by Berua), and the other is the publicist letter – Thoughts (Caused by Cholera).

As the method of research of aforementioned literary texts, I have chosen hermeneutics (as the means for understanding and interpreting the text), analysis (which covers analysis of problems raised in the texts) and

comparative method (with the aim of comparison with the author's other texts and world literary classics).

The main ideological axis of the report is the phrase from Vazha Pshavela's publicist letter: "Maybe we can get rid of this also. Then we will see how the word cholera, as its representative, will be erased, eliminated from the earth".

Vazha-Pshavela's literary fiction Cholera has helped me, is a fun, entertaining, humorous story about the cholera pandemic, but having a very deep meaning.

**Key words:** Pandemic, Cholera, Vazha-Pshavela.

## ნინო გოგიაშვილი

*საქართველო, თელავი*

*იაკობ გოგებაშვილის სახელობის*

*თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### ლიტერატურაში ასახული პანდემია, როგორც კაცობრიობის ლაკმუსი და წამალი

მსოფლიო ბევრჯერ შეაშფოთა და დააზარალა სხვადასხვა წარმოშობის პანდემიამ. მოგეხსენებათ, დღესაც ანალოგიური სიტუაციაა და მის შესახებ წარმოებული ნებისმიერი სამეცნიერო კვლევა დროების რელევანტურია. საუკუნის წინ, საქართველოში მძვინვარე ქოლერამ კლასიკოსთა შემოქმედებასაც დაატყო კვალი. მოცემულ მოხსენებაში მსურს ვისაუბრო ვაჟა ფშაველას ლიტერატურულ პრიზმაზე, პანდემიის კუთხით: ერთი მათგანია მხატვრული ნაწარმოები „ხოლერამ მიშველა (ბერუას ნაამბობი)“, ხოლო მეორე – პუბლიცისტური წერილი „ფიქრები (ხოლერის გამო)“.

ხსენებული ლიტერატურული ტექსტების საკვლევ მეთოდად შევარჩიე ჰერმენევტიკა, (როგორც ტექსტის გაგებისა და ინტერპრეტაციის საშუალება), ანალიზი (რომელიც მოიცავს ტექსტებში წამოჭრილი პრობლემების ანალიზს) და შედარებითი მეთოდი (ავტორისავე ტექსტებთან და მსოფლიო ლიტერატურულ კლასიკასთან შედარების მიზნით).

მოხსენების მთავარი იდეოლოგიური ღერძი ვაჟა ფშაველას პუბლიცისტური წერილიდან ამონარიდი ფრაზაა: „ეგები ესეც მოვიშორეთ თავიდან. მაშინ ვნახოთ, თუ სიტყვა ხოლერა, როგორც მისი წარმომადგენელი, არ აღიგავოს, არ ამოიფხვრას დედამიწის ზურგიდან“ (ფშაველა 2011). სიტყვაში „ესეც“, რომელსაც ვაჟა ფშაველა „მეორე ჯურის ხოლერადაც“ მოიხსენიებს, უსამართლობას, „აჯამობას“, უაზრობასა და „უგრძნობელობას“ უწოდებს, როდესაც ადამიანები „სცხოვრობენ მხოლოდ იმიტომ რომ ათენ-ალამონ“. პოეტის მთელი შემოქმედება ამ პრობლემისა და ტკივილის დასტურია, რომლის შესახებაც ვისაუბრებთ მოხსენებაში.

პირველ რიგში, მახსენდება ვაჟას ლექსი „კაი ყმა (ხევსურულ ჰანგზე)“, რომელიც „მეორე ჯურის ხოლერის“ პოეტური მხილებაა:

„არა თქვენ, სადიაცენო,  
რო ძროხებივით სძლებითა:  
ღამე მამღრები დასწვებით,  
დილით მშივრები სდგებითა...  
უქმად ჩამაჰლევეთ სიცოცხლეს,  
უქმად საფლავეში სწვებითა.  
დაჰკარგავთ სააქაოსა,  
ვერც საიქიოს სწვდებითა.  
არ იცით, დასწნდით რისადა,  
ან რისათვისა ჰკვდებითა“!  
(ვაჟა-ფშაველა)

ლექსში „ვინ არის კაცი“? ირონიითა და სარკაზმითაა ასახული უმაქნისი, მუქთახორა ადამიანის, ერთდროულად ღიმილისა და ტკივილის მომგვრელი ფსიქოლოგიური ტიპი:

„კაცი ის არის, ცხოვრება  
ვინც გაატარა ჭამაში  
და კაცის დანიშნულება  
მხოლოდღა ჰპოვა ამაში“.  
(ვაჟა-ფშაველა)

ფინალში კი, პოეტი „დიდყურთანის შვილად“ მოიხსენიებს ასეთ კაცს და ამით საბოლოო დევალაცციას ახდენს მისი ფუჭი ადამიანური არსებობისა. „აი, რას ეფუძნება არისტოტელეს ზემოთ მოტანილი თეზისი, რომელიც გვირჩევს, განცხრომასა და ამქვეყნიური სიამით ტკობას კი არ მოველტვოდეთ, არამედ ვცდილობდეთ თავიდან ავიცილოთ ურიცხვი ცხოვრებისეული უბედურება“ (შოპენჰაუერი 2009: 294), – წერს ართურ შოპენჰაუერი, ტექსტში „ცხოვრებისეული ფასეულობების შესახებ“. სწორედ ამგვარია ვაჟა ფშაველას მსოფლმხედველობა – კაცის, ადამიანის რაობის და შესაბამისი ღირებულებების შესახებ. ცხადია, მახსენდება ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი“?! სადაც სწორედ სიზარმაცისა და განცხრომის ჭაობში ჩადირულ, ადამიანის მსგავს არსებაზეა საუბარი. პუბლიცისტურ წერილში „ფიქრები“, ვაჟა საუბრობს ხოლერაზე, როგორც წამხდარი ადამიანის სამყაროსეულ მეტაფორასა და უკუკავშირზე. „ეს ისეთი ხოლერაა, რომ განაორი ათთასი ათასს მოჰკლავს და ათასი გადარჩება?! არა, ყველას იმსხვერპლებს, მთელს ერს მუსრს გაავლებს“ (ვაჟა-ფშაველა 2011) და დაამატებს, რომ თუ ამ „მეორე ჯურის ხოლერასაც“ მოვიშორებთ, „მაშინ ვნახოთ, თუ სიტყვა ხოლერა, როგორც მისი წარმომადგენელი, არ აღიგავოს, არ ამოიფხვრას დედამიწის ზურგიდამ“ (ვაჟა-ფშაველა 2011). ვაჟა ფშაველას წერილში მარტივად ამოსაკითხავია, რომ ის, ქოლერას, როგორც მომაკვდინებელ ფიზიკურ სნეულებას, საზოგადოებაში უკვე არსებული მომაკვდინებელი სულიერი სნეულების განსხეულებად მიიჩნევს; ის ლაკმუსის ქალაღდის ფუნქციას ასრულებს – უხილავი, მხოლოდ გონიერ თვალთათვის დასანახავი მანკიერება ხილული ხდება.

მისსავე მცირე ტანის მხატვრულ ნაწარმოებში – „ხოლერამ მიშველა“, საუბარია ამ დაავადების, როგორც მწარე წამლის ფუნქციაზე. ხსენებული ლიტერატურული ფიქცია გავრცელებული ეპიდემიის – ქოლერას შესახებ სახალისო, შესაქვევ, იუმორით სავსე, მაგრამ ღრმა აზრით გაჯერებულ ამბავს მოიცავს. მოთხრობის მთავარი გმირის –ბერუა ტყიკაციშვილისთვის საყოველთაო უბედურება ბედნიერებად იქცა და საყვარელ ქალთან ოჯახის შექმნის სიხარულად დაგვირგვინდა. ტექსტში აღწერილია შიმისგან გონებაწართმეული ადამიანების ყოფა, როდესაც ისინი გარბი-

ან მშობლიური სოფლიდან. სოფელს, საიდანაც სასოწარკვეთილი ადამიანები გარბიან, საბრალო ჰქვია. სოფელი (წუთისოფელი) საბრალო ხდება, სადაც შეშფოთებული ადამიანები ცხოვრობენ; ვაჟასეული ლიტერატურული ტოპონიმიური მეტაფორა ზუსტია და მრავლისმთქმელი. ბერუას დამგზავრებული მედუქნე გასპარა შიშს გაუკეთილშობილება და უსაზღაუროდ ეპატიჟება ღვინო-ზე; მისი ლოგიკა ამგვარია: „მოგება საიქიოს ეშმაკების უსტაბაშს გავუყო“?! (ვაჟა-ფშაველა 2012). ბერუას უკვირდა მედუქნის „გაპურადება“: „წინათაც ეს ბერუა ვიყავი, რომ გასპარას ნახევარ შაურიანი არაყი არ დაუღვევიანებია ჩემთვის და მიკვირდა, დღეს რა მოელანდა ამ დამწვარ კაცსა-მეთქი. სწორედ ხოლერამ, სიკვდილის მოახლოვებამ დაგვამეგობრა“ (ვაჟა-ფშაველა 2012). ბუნებრივია, მახსენდება მსოფლიო ბიბლიოთეკის საგანძური, ჯოვანი ბოკაჩოს „დეკამერონი“: „თუ ჩვეულებრივს გარემოებაში ბრძნებს არ შეუძლიათ მოთმინებით გაუძლონ მცირე და იშვიათ გაჭირვებას, სამაგიეროდ დიდი და საერთო უბედურებანი თვით უბირსაც კეთილგონიერ და უდარდელ ადამიანად გადააქცევენ ხოლმე“ (ბოკაჩო 1970: 36). მასობრივი უბედურება და შიში, ერთი მხრივ, ხელჩაქნეულობასა და თავაშვებულობას განაპირობებს, მეორე მხრივ, კი სულიერი კათარზისისა და მეტამორფოზის საწინდარია. სწორედ შავი ჭირის გავრცელების ფონზეა აგებული „დეკამერონის“ ძირითადი სიუჟეტი, სადაც მთავარი მოქმედი გმირები განერიდებიან ქალაქს, რათა მხიარულებასა და სიამტკბილობაში იცხოვრონ, – აღმოფხვრან ნეგატივი თავიანთი ყოფიდან.

ზოგადად, ეპიდემია საინტერესო თემა და გარკვეული ლიტერატურული გამოწვევაა მწერლებისთვის; ეს არის ერთგვარი მაღალი სიხშირის კონდიცია, სადაც სულ სხვაგვარად ლაგდება მოვლენები; ადამიანები კარგავენ ჩვეული ცხოვრების რიტმს და რადიკალურად განსხვავებულ რეალობაში იწყებენ არსებობას; მთლიანად იცვლება მათი ფსიქიკა, მსოფლმხედველობა და ჩვეული სოციალური სტანდარტები. პანდემია ერთგვარი ფორს-მაჟორია, რომელიც მართავს ადამიანებს. მიმდინარე კოვიდპანდემიისასაც, ადამიანები ბევრს საუბრობენ ახალ მსოფლიო წესრიგსა და წყობაზე, რასაც, ხშირად, გარკვეულ სოციალურ „სპეცოპერაციად“ მიიჩნევენ. ფაქტი თვალსაჩინოა, რომ ადამიანი, მთელი

თავისი ონტოლოგიური და ანთროპოლოგიური კონტექსტებით, ცვლილებას განიცდის; სწორედ ამიტომ, ნიშანდობლივია, სწორად „გამოვიყენოთ“ არსებული მძიმე ვითარება და ჩვენეული სარგებელი ვნახოთ, ამ შემთხვევით ურიცხვ დანაკარგთან ერთად. ეს მისია მეცნიერებებს აკისრია, და არა მხოლოდ ზუსტ, არამედ – ჰუმანიტარულსაც; რადგან, როგორც ვაჟა ფშაველა ამბობს, „მეორე ჯურის ხოლერა“ ადამიანის სულიერი და მენტალური სენია.

პანდემია ხალხში პანიკას იწვევს და, უმეტეს შემთხვევაში, – გაქცევის მძაფრ სურვილს. დანიელ დეფოს პერსონაჟი, „შავი ჭირის დღიურებში“, საყოველთაო ლხინს მართავს. დაუპატიჟებელი უცხო სტუმარი თავად სიკვდილი აღმოჩნდება, რომელიც მასპინძელს საიქიოს გაისტუმრებს. ჰომეროსის „ილიადასა“ და სოფოკლეს „ოიდიპოს მეფეშიც“ შავი ჭირის თემა მუსირებს. მსგავსი ტექსტების ჩამოთვლა და განხილვა შორს წაგვიყვანს; თუმცა, უპრიანია, ვისაუბროთ თომას მანის შედეგზე „სიკვდილი ვენეციაში“, სადაც, თავის თავში სრულიად უცხო შეგრძნებისა და მისწრაფების აღმოჩენისას, მთავარი გმირი – აშენბახი გავრცელებული სნეულებით კვდება. სულიერი კატაკლიზმა, რომლის პასუხიც არ აქვს აშენბახს, ფიზიკური არყოფნით მთავრდება; ამას შავი ჭირი „უზრუნველყოფს“.

ლუკრეციუსმა, თავის ტექსტში – „საგანთა ბუნებისათვის“ შთამბეჭდავად აღწერა შავი ჭირი და მისი სიმპტომები. შავი ჭირის პანდემიის თემა განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ანტიკურ ლიტერატურაში და, ამასთან დაკავშირებით, უნდა ვახსენოთ თუკიდიდეს, ვერგილიუსის და ოვიდიუსის სახელები. სწორედ ამ დროიდან, ხსენებული ავტორების ტექსტებში, ის არ იყო მხოლოდ ფიზიკური სენი, არამედ, მას უკვე ჰქონდა გარკვეული მეტაფორული დატვირთვა. სული და სხეული ღვთის ქმნილებაში – ადამიანში სიმბიოზური თანაცხოვრებით არსებობენ და არასოდეს განიხილებიან ცალ-ცალკე კონტექსტში. სხეულის ავადობა სულიერი მდგომარეობის თავისებური სარკე და მეტაფორაა. შესაძლებელია ითქვას, რომ მასობრივი ეპიდემიები და პანდემიები ეგზისტენციალურ დაფიქრებასაც იწვევს და ეპისტემოლოგიურ დაეჭვებასაც, რადგან ავადობა განურჩევლად ყველას მუსრავს; თითქოს, ყველა დამნაშავეა და არც არავინაა დამნაშავე.

ალბერ კამიუს „შავ ჭირში“ პანდემია ალეგორიაცაა და მეტაფორაც; კონკრეტულად, ფაშიზმის ალეგორია და სულიერი დეგრადაციის მეტაფორა. შესაძლებელია, ვაჟა ფშაველას პუბლიცისტურ წერილში – „ვიქრები“ – „მეორე ჯურის ხოლერა“ რუსულ ტოტალიტარიზმსაც დავუკავშიროთ და მის ალეგორიაცად მოვიაზროთ; თუმცა, ტექსტის კვლევისას, პირველი მოსაზრება ვლინდება. „იქნება ის ხოლერა არსად არსებობდეს და მე მეჩვენებოდეს მარტო? არა, არსებობს, მაგრამ იმდენი ვერა ჰხედავს იმას, ამ „ბაცილების“ დედას, და იმდენი ხმაურობა, ჟრიამული იმიტომ არ ისმის ამ მეორე ჯურის ხოლერაზე... მოვიგონოთ ასი-ათასობით უმეცარნი, უსწავლელნი, უბირნი, ცხოვრებას რომ ეთრევიენებიან, სცხოვრობენ მხოლოდ იმიტომ, რომ ათენ-ალამონ, იგივე ხოლერისაგან მოკლულნი არ არიან“?! (ვაჟა-ფშაველა 2011).

მარგარეტ იურსენარის „მოგვი მკურნალი“ და გაბრიელ გარსია მარკესის „სიყვარული ჟამიანობის დროს“ ის ტექსტებია, რომლებსაც გვერდს ვერავინ აუვლის, როდესაც პანდემიის თემას ანალიზებს ლიტერატურაში. ამ რომანების სიუჟეტები ქოლერას ეპიდემიის ფონზე ვითარდება და, შესაბამისად, განსაზღვრავს მთელ ნარატიულ დინამიკას. მერი შელის აპოკალიპსური რომანი „უკანასკნელი ადამიანი“ და ჟოზე სარამაგუს მისტიკური რომანი „სიბრმავეც“ ეპიდემიურ ვითარებაზე მოგვითხრობს; ორივე ტექსტში ეპიდემია მეტაფორაა. „მგონი, კი არ დავბრმავდით, არამედ ბრმები ვიყავით და ახლაც ბრმები ვართ. ბრმები, რომლებსაც მხედველობა აქვთ. ბრმები, რომლებსაც მხედველობა აქვთ, მაგრამ ვერ ხედავენ“ (სარამაგუ 2008: 334). ფრაზაში, მეტი ეფექტისთვის, რამდენჯერმე მეორდება სიტყვა – სიბრმავე, რაც ცალსახად მიგვანიშნებს, რომ ავტორი ჰყვება სულიერ სიცარიელესა და სიბრმავეზე, რომელიც განსხეულდება პანდემიური სიბრმავის სახით. პანდემიის მიზეზი აქაც მიზეზ-შედეგობრივია, მისი ფუნქცია კი ლაკამუსის ქალადის – გამხელის, გამჟღავნების, ხილულად წარმოდგენის კატეგორიაში მოიაზრება. ეს არის ნიშანი სამყაროსგან, რათა, რადგან ბრმები ვართ გაუცნობიერებლად, დავინახოთ და შევნიშნოთ ჩვენი სიბრმავე.

საგულისხმოა პანდემიით ნაკარნახევი დისტანციის რეგულაცია და მისი მხატვრული რეფლექსია. ადამიანები დისტანცირდე-

ბიან ერთმანეთისგან, დაავადებული ადამიანებისგან, საკუთარი ქალაქებისგან და სოფლებისგან. ადამიანები გაურბიან ერთმანეთს და პანდემიის ერთ-ერთი მთავარი სემიოტიკური ნიშანიც სწორედ ეს არის – გაუცხოება, თუნდაც, ხიდჩატეხილობაც. „ეგ არის, ხოლერა მოსულაო, გაისმა ხმა და დაიწყო ხალხმა ტყეში გახიზვნა. დიდი და პატარა თავგადაგლეჯილები გარბოდენ“ (ვაჟა-ფშაველა 2012); – წერს ვაჟა ფშაველა მოთხრობაში „ხოლერამ მიშველა“. მოთხრობელი მთავარი პერსონაჟი – ბერუაა, რომელიც მშვიდად უყურებს მიმდინარე მოვლენებს და, უბრალოდ, თანასოფლელებს მიჰყვება ისიც: „რაც ქვეყნის ნახირს, ის ბებრის ხბოსაო“. მთაში გახიზნულიც თავისი სოფოს გამო სწუხს და ცრემლსა ღვრის: „ხოლერა მოდიოდა და ღმერთს იმას ვეხვეწებოდი – მე მომკალი, სოფო კი გადაარჩინე, მაგის სიკვდილს ნუ გამაგონებ, ნუ მაჩვენებ-მეთქი. ოჰ, ღმერთს გეფიცებით, კაცებო, სიყვარულზე მეტი ჭირი და ლხინი ღმერთს არ გაუჩენია“ (ვაჟა-ფშაველა 2012). მოცემულ მომენტშიც, სიყვარულის პრიორიტეტი იცავს ბერუას, იფიქროს და იდარდოს არა თავის თავზე, არამედ – თავის გულისსწორზე. შორიდან დანახული საკუთარი ქოხიც უფრო მოეწონა ბერუას – კაცის ბუნებაა, სადაც არის, იქაურობას ჯეროვნად ვერ აფასებს. დისტანცია, ხშირად, ყველაფერს ავლენს, ნათელს ხდის და არეგულირებს. „სხვისი თვალთ დანახული“ მეტად ობიექტურია. ეპიდემიამ შორიდან დაანახვა ადამიანებს საკუთარი თავი; გარდაუვალი სიკვდილის წინაშე მდგომთ, მატერიალურ ფასეულობებზე განსაკუთრებული მიჯაჭვულობა მოუხსნა; ამაოების რაკურსიდან ყველა საგანმა თავისი კუთვნილი ადგილი დაიბრუნა; ფასეულობათა იერარქიაც დალაგდა და სიყვარულმა პირველი ადგილი დაიკავა: ღრმა ძილში წასულ ბერუას, სოფო წამოადგა თავზე და სიყვარულში გამოუტყდა; ჯვარი დავიწეროთ და სოფელში გავიპაროთო. ჩვეულებრივ ვითარებაში სოფო ვერ იქნებოდა ასეთი გამბედავი, თუმცა, პანდემიური ფორს-მაჟორი და სიკვდილის შიში, ბიძგს აძლევს, დატკბეს საყვარელ ადამიანთან ერთობით. „უმნოდ, ბერუავ, არც საიქიოს მიმიღებენ და სააქაოც დაკარგული მექნება: ისე როგორ უნდა დავიხოცნეთ, რომ შენ ჩემი არ გერქვას და მე – შენი“ (ვაჟა-ფშაველა 2012). მღვდელმა და დიაკვანმა, როგორც მოსალოდნელი იყო, უარი უთხრეს ჯვრისწერაზე, მაგ-



რამ სიყვარულით ფრთაშესხმული წყვილისათვის ესეც არ იქცა დაბრკოლებად, და სასწრაფოდ სოფელს მიაშურეს.

სამკვიდრებელს ბერუა უბრუნდება, ახლადშერთული მეუღლით, და ეს ფაქტი ხდება პრეცედენტი შიშის გაქარწყლების, ადამიანებში დაბრუნებული სიმშვიდის; სიყვარულისა და სურვილის წინაშე სიკვდილის შიში დევალივირებული და დამლეულია. „მე და სოფო დავსხდებით კერის პირას გვერდის-გვერდ და ვიცინით, როდესაც ჩვენს ოინს მოვიგონებთ, – ხოლერა რომ არ მოსულიყო, ხომ ჩვენ ერთად არ ვიქნებოდითო; ხომ ვერცერთი ვერ გავბედავდით ამისთანა საქმესო, მაგრამ ხოლერამ, სიკვდილის მოახლოვებამ კი გაგვაბედინა. სოფლებების საარაკო სალაპარაკო დღეს მე და სოფო ვართ; დაავიწყდათ ხოლერა, დღეს ჩვენა ვართ ხოლერა“ (ფშაველა 2012). მსუბუქი იუმორითა და ხალისიანი თხრობით ვაჟა ფშაველა ფანტავს შიშსა და ძრწოლას პანდემიის წინაშე და შეგვახსენებს სახარებისეულ ჭეშმარიტებას, რამაც უნდა იხსნას კაცობრიობა: სიყვარულის წინაშე უძღურია ყველა ამქვეყნიური ბოროტება, მათ შორის – პანდემია. „გიყვარდეთ, კაცნო, ერთმანეთი!“ – ვკითხულობ ვაჟას მოთხრობაში – „კლდემ მხოლოდ ერთხელ თქვა“, და ანალოგიური შეტყობინების მატარებელია „ხოლერამ გვიშველა“. ის სრულდება თემას, იდეასა და ტექსტთან სრულიად მისადაგებული ხალხური გამონათქვამით – „ზოგი ჭირი მარგებელიაო!“ და, მართლაც, ყველა ჭირში, პანდემიასა და უსაშველობაში შესაძლებელია რაღაც ჩვენთვის გამოსადეგი მოვიძიოთ. სამყარო ხომ მუდმივად ნიშნებით გვესაუბრება, რომელთა შემჩნევა და აღმოჩენაც ჩვენი პროგნოზიკაა. კოვიდპანდემიური საფრთხე და გამოწვევაც სიყვარულისა და განათლების ბერკეტებით უნდა გადავლახოთ. ტექსტით დადასტურებულია ადამიანების მთავარი საფრთხე – სიცოცხლეშივე სიკვდილი, რომელსაც პანდემიის, როგორც მწარე წამლის არსებობა არეგულირებს.

ლიტერატურაში ასახული პანდემია კაცობრიობის სულში ჩაბუდებული სნეულების ტექსტობრივი დეკლარირებაა.

გისურვებთ ჯანმრთელობას!

## დამოწმებანი:

**ბოკაჩო 1970:** ბოკაჩო, ჯ. დეკამერონი. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1970.

**ვაჟა-ფშაველა 2011:** ვაჟა-ფშაველა. „ფიქრები (ხოლერის გამო)“. *ქართული მწერლობა – ლიბერალურ ფასეულობათა საგანძური*. Liberalis [ონ-ლაინ გვერდი] (განთავსებულია 12 აპრილიდან, 2011); მის: [http://geo-demokratia.blogspot.com/2011/04/blog-post\\_12.html](http://geo-demokratia.blogspot.com/2011/04/blog-post_12.html)

**ვაჟა-ფშაველა 2012:** ვაჟა-ფშაველა. „ხოლერამ მიშველა (ბერუას ნამზობი)“. *თხზულებათა სრული კრებული*. tagiweb [ონ-ლაინ გვერდი] (განთავსებულია 28 მარტიდან, 2012); მის: <https://tagiweb.wordpress.com/2012/03/28/kholeram-mishvela/>

**ვაჟა-ფშაველა:** ვაჟა-ფშაველა. *ლექსები, პოემები*. Poetry [ონ-ლაინ გვერდი] მის: <https://poetry.ge/poets/vazha-pshavela/poems>

**სარამაგუ 2008:** სარამაგუ ქ. *სიბრმავე*. თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა L“, 2008.

**შოპენჰაუერი 2009:** შოპენჰაუერი ა. „ცხოვრებისეული ფასეულობების შესახებ“. *ლიტერატურის თეორია, ქრესტომათია I*. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2009.

**Maia Jaliashvili**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

## Malaria as an Existential Crisis

### Summary

Demna Shengelaia's novel „Sanavardo“ presents malaria as the sick soul of the human being, the existential crisis. The metaphysical was gradually increasingly expelled from the ontological space of human existence. The novel shows doubts about the sacred, which leads to the doubling of a person, alienation, disbelief, fear of the future. The passages performed with the original technique of narration, poetic prose, modernist aesthe-